საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს

სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი 14 ივნისი, 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ნადარაია ელიზბარ, შენგელაია ალექსანდრე, შალიკაშვილი მორის, ჩიტაშვილი მარინე, ანანიაშვილი იური, სალუქვაძე იოსები, ხუციშვილი ქეთევან, ცერცვაძე თენგიზ, ჭელიძე თამაზ, ამირხანაშვილი ივანე, პაპავა გივი, გოგიაშვილი ლიანა, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და საბჭოს მდივნის არჩევა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტის დამტკიცება.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულების განხილვა.
4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ ლაშა ხოჯანაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
5. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ ნელი მერაბიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
6. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ დიმიტრი ჩუბინიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
7. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ზურაბ ყუშიტაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
8. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ანანიაშვილისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

9. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ნოზაძისათვის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს უხუცესმა წევრმა გივი პაპავამ საბჭოს მიმართა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის შერჩევის წინადადებით.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დაასახელა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა - ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, ქეთევან ხუციშვილი. ღია კენჭისყრის საფუძველზე გივი პაპავამ საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ გივი პაპავამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, ქეთევან ხუციშვილი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა დაასახელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, იოსებ სალუქვაძე. ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, იოსებ სალუქვაძე.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა დაასახელა საბჭოს მდივნის კანდიდატურა, იურიდიული ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, მორის შალიკაშვილი. ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას იურიდიული ფაკულტეტის ასოც. პროფესორი, მორის შალიკაშვილი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა წინადადებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ რეგლამენტი საჭიროებს სიღრმისეულ განხილვას, შესაბამისად, მომავალ სხდომაზე მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტზე მსჯელობა და დამტკიცება. ასევე მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების განხილვა, ცვლილებების შემუშავება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა.

დაადგინეს: 20 ივნისის სხდომაზე მოხდეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტის შემუშავება და დამტკიცება; ასევე საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა გამოეთქვათ წინადადებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დამხმარე სტრუქტურის - აპარატის დებულებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აპარატის დებულების პროექტი საჭიროებს შემუშავებას და შეთანხმებას თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან და მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

დაადგინეს: აპარატის დებულების პროექტის შემუშავება დაევალოს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანს, იურიდიული ფაკულტეტის ასოც. პროფესორ მორის შალიკაშვილს და შესათანხმებლად წარედგინოს თსუ იურიდიულ დეპარტამენტს.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტის - ლაშა ხოჯანაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ - ლაშა ხოჯანაშვილს დაუმტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტის - ნელი მერაბიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ ნელი მერაბიშვილს დაუმტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტის - დიმიტრი ჩუბინიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტ დიმიტრი ჩუბინიძეს დაუმტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ზურაბ ყუშიტაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ზურაბ ყუშიტაშვილს დაცვის თარიღად დაუმტკიცდეს 2018 წლის 5 ივლისი.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ანანიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება არაა მიღებული.
დაადგინეს: არ დამტკიცდეს „კომპიუტერული მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნათელა ანანიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის

შემადგენლობა და დაცვის თარიღი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის არასწორად განსაზღვრის გამო.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ნოზაძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ღია კენჭისყრის საფუძველზე ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქ. ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება არაა მიღებული.

დადგინეს: არ დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ნოზაძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები, ვინაიდან 2018 წლის 30 აპრილს ძალაში იყო შესული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში (მაცნეში გამოქვეყნების თარიღი 30 აპრილი) და შესაბამისად, ფაკულტეტის ფიზიკის სადისერტაციო საბჭო არ იყო უფლებამოსილი შემფასებლების დამტკიცების თაობაზე; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს (შემფასებლებს) წარადგენს ფაკულტეტის საბჭო.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი